ფრიდრიხ ნიცშე

სიკეთისა და ბოროტების მიღმა

პრელუდია მომავლის ფილოსოფიისთვის

გამომცემლობა **„აქტი“**

თბილისი – 2020

მთარგმნელი: ვახტანგ გორგიშელი

რედაქტორი: გიორგი თავაძე

გამომცემლობა „აქტი“, 2020 წელი

ვებ-გვერდი: akti.ge

© iBooks

ISBN 978-9941-8-2062-5

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა.....5
გიორგი თავაძე
„დავუშვათ, რომ ჭეშმარიტება ქალია“:
ფრიდრიხ ნიცშე სიკეთისა და ბოროტების მიღმა.....7

ფრიდრიხ ნიცშე
სიკეთისა და ბოროტების მიღმა.....33
წინასიტყვაობა.....33
ნაწილი პირველი: ფილოსოფოსთა ცრურწმენების შესახებ...36
ნაწილი მეორე: თავისუფალი სული.....67
ნაწილი მესამე: რელიგიური არსება.....95
ნაწილი მეოთხე: აფორიზმები და ინტერლუდიები.....118
ნაწილი მეხუთე: მორალის ბუნებითი ისტორია.....143
ნაწილი მეექვსე: ჩვენ, სწავლულები.....172
ნაწილი მეშვიდე: ჩვენი ღირსებები.....197
ნაწილი მერვე: ხალხები და სამშობლოები.....231
ნაწილი მეცხრე: რა არის კეთილშობილური?.....263
მწვერვალებიდან.....307
განმარტებები და კომენტარები.....311

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები.....354
გამოსაცემად მზადდება.....355

ვახტანგ გორგიშელი – გერმანული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, მთარგმნელი. თარგმნილი აქვს ზიგმუნდ ფროიდის, ფრიდრიხ ნიცშეს, ლუდვიგ ვიტგენშტაინის, ლუდვიგ ბინსვანგერის, ედმუნდ ჰუსერლის, არტურ შოპენჰაუერის და სხვა მოაზროვნეთა ნაშრომები.

გიორგი თავაძე – ფილოსოფიის დოქტორი (2013 წ.), ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი ფილოსოფიის მიმართულებით. მისი კვლევის სფეროებია: მორალისა და პოლიტიკის ფილოსოფია, იდეების ისტორია, პოსტკოლონიური და პოსტტოტალიტარული კვლევები და ფილოსოფიური გეოგრაფია. გიორგი თავაძეს ქართულად თარგმნილი აქვს ფრიდრიხ ნიცშეს, ჯონ დიუის, თომას პეინის, კარლ შმიტის, იმანუელ კანტის და სხვა მოაზროვნეთა ნაშრომები.

მთარგმნელის წინასიტყვაობა

ფილოსოფოსი, პოეტი, მუსიკოსი, ფილოლოგი, ერთხანს მოქალაქეობის არმქონე პირი, გატანჯული შაკიკითა და კუჭის პრობლემებით; მორალი, რელიგია, მეცნიერება, ხელოვნება, განსაკუთრებით კი მუსიკა, მისი ფილოსოფიის თემებია; „ზეკაცი“, „ნება ძალაუფლებისკენ“, „მარადი დაბრუნება“ – ფილოსოფიაში მის მიერ დამკვიდრებული ცნებებია. სიცოცხლე 55 წლის ასაკში დაასრულა, 1900 წელს, მენტალური სენით დაავადებულმა.

ნიცშეს სტილი ყოველთვის მკაფიო, აფორისტული, იდუმალი, პოეტური ხატებით აღსავსე იყო, მაგრამ ამ ტექსტს ცხადად ამჩნევია ტრადიციულ ზნეობრიობაზე შლეგური შეტევის კვალი. „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“ (Jenseits von Gut und Böse: Vorspiel einer Philosophie der Zukunft) ნიცშეს შემოქმედების ყველაზე დაძაბულ და ბობოქარ პერიოდს უსწრებს წინ, რომელშიც მან კაცობრიული ისტორიის ფილოსოფიურ შედეგებს მოუყარა თავი და XX საუკუნის სოციალური და სულიერი კატაკლიზმები იწინასწარმეტყველა. ამ წიგნში, რომლის ქვესათაურია „პრელუდია მომავლის ფილოსოფიისთვის“ (არცთუ უსაფუძვლოდ), დიდმა მოაზროვნემ მრავალი მოვლენა განჭვრიტა: ევროპული სულიერების დეკადანსი, მასების ჩამოყალიბება, როგორც ანგარიშგასაწევი ძალისა, პიროვნების ნიველირება საყოველთაო თანასწორობის იდეის ქვეშ, ბრძოლა სამყაროული ბატონობისათვის და ტოტალიტარიზმი, როგორც ევროპის დემოკრატიზაციის შედეგი. აქ ის უარყოფს მორალურ დოგმატიზმს, ვარაუდს, რომ არსებობს ერთადერთი მორალური ჭეშმარიტება და ერთადერთი მორალური კოდექსი, რომლის მიხედვით უნდა იცხოვროს ადამიანმა.

ჭეშმარიტი მორალურობა, ნიცშეს აზრით, ისაა, რომელსაც ინდივიდი საკუთარი თავისთვის მოიპოვებს ცდის, კითხვისა და შეცდომების დაშვების მტკივნეული პროცესის გავლით. მხოლოდ ტანჯვით საკუთარი ღირებულებების მოსაპოვებლად, საკუთარი ინდივიდუალური ჭეშმარიტებისა, შეუძლია ადამიანს ჭეშმარიტი მორალურობის მოპოვება.

ეს წიგნი არის მოწოდება მორალური თავისუფლებისკენ. პირველ თავში ნიცშე წერს: „სიბეჯითე და სინატიფე, უფრო მეტიც, სულაც ის ცბიერება, რომლითაც დღეს მთელ ევროპაში „რეალური და მოჩვენებითი სამყაროს“ პრობლემას ეჯაჯგურებიან, დაფიქრებისა და მოსმენის საბაბს ქმნის“. აქ ამხელს იგი მათ ნაკლოვანებებს, ვისაც ფილოსოფოსებს, მეცნიერებსა და ე.წ. „თანამედროვე“ ადამიანებს უწოდებენ, რომლებსაც თითქოსდა აქვთ გაგება, თითქოს გააჩნიათ ემპირული ცოდნა, სინამდვილეში კი ეს დიდი სიცრუეა.

ამ ჭრილში, როგორც ერთ-ერთმა მკვლევარმა აღნიშნა, შეიძლება ითქვას, რომ ნიცშეს მოტივაცია „არა ღირებულებათა გაუფასურებაა, არამედ მათი გადაფასება“.

თვითონ ავტორმა კი პეტერ გასტისადმი გაგზავნილ წერილში ასე შეაფასა თავისი თხზულება: „საზარელი წიგნი, რომელიც ამჯერად ჩემი სულიდან ამოიზარდა – უკიდურესად ბნელი და ფეხმრუდი. მე ის მხნეობას მმატებს – თითქოს რაღაცას ჩავაფრინდი „რქებში“, მაგრამ ეს ნამდვილად არ უნდა იყოს „ხარი“.

ამ შესანიშნავი წიგნის თარგმნას რამდენიმე წელი მოვანდომე. ღრმად მწამს, რომ ეს დრო ფუჭად არ იყო დახარჯული, თუნდაც იმ სიამოვნების მიზეზით, რომელიც მისი თარგმნის პროცესში განვიცადე; ხოლო თუ ჩემი კადნიერი ნაბიჯი, რომლის შედეგად ნიცშეს ერთ-ერთი ურთულესი ტექსტი შეიქნა ხელმისაწვდომი ქართულ ენაზე, მკითხველის კმაყოფილებასაც გამოიწვევს, ჩემს მისიას აღსრულებულად ჩავთვლი.

ვახტანგ გორგიშელი

გიორგი თავაძე

„დავუშვათ, რომ ჭეშმარიტება ქალია“: ფრიდრიხ ნიცშე სიკეთისა და ბოროტების მიღმა

„ჭეშმარიტება“ მხოლოდ ზედაპირი შეიძლება იყოს.
ჟაკ დერიდა

„დავუშვათ, რომ ჭეშმარიტება ქალია“ – ასე უცნაურად იწყება გერმანელი ფილოსოფოსის ფრიდრიხ ნიცშეს (1844-1900 წწ.) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“ (1886 წ.). ის ოთხი ნაწილისგან შემდგარი „ასე ამბობდა ზარატუსტრა“-ს (1883-1885 წწ.) შემდეგ გამოქვეყნებული პირველი ნაშრომია, „ზარატუსტრასგან“ სრულიად განსხვავებული სტილით, კომპოზიციითა და თემატიკით. მასში ნიცშე კვლავ უბრუნდება თავის აფორისტიკულ სტილს, რომლის პირველ თვალსაჩინო ნიმუშს „ადამიანური, ძალზე ადამიანური“ (1878 წ.) წარმოადგენს. უფრო მეტიც, „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“-ში განხილული თემები გარკვეულწილად ეხმიანება „ადამიანური, ძალზე ადამიანურში“ გადმოცემულ საკითხებს. წინამდებარე სტატიაში განხილულია „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“-ს წარმოშობის ისტორია და ნაშრომის სტრუქტურა, ნიცშეს პოზიცია საკუთარი ქმნილების მიმართ; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჭეშმარიტების ბუნების საკითხს, რომლის თემატიზებასაც ნიცშე აღნიშნულ ნაშრომში ახდენს.

ნაწარმოების წარმოშობის ისტორია და სტრუქტურა. ჯერ კიდევ „ზარატუსტრაზე“ მუშაობის პროცესში, 1884 წელს, ნიცშემ გადაწყვიტა, გადაეხედა თავისი მეტაფიზიკური და შემეცნებისთეორიული შეხედულებებისთვის, რომლებიც მის ადრეულ ნაშრომებში იყო გადმოცემული. თავდაპირველად მას სურდა, ხელახლა გამოეცა „ადამიანური, ძალზე ადამიანური“, თუმცა, გამოცემასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, 1885 წლის ზაფხულში ნიცშემ თავისი გეგმები შეცვალა და გადაწყვიტა, „ცისკრის ვარსკვლავის“, – რომელიც 1881 წელს გამოქვეყნდა, – მეორე ტომზე ემუშავა. უკვე გამოქვეყნებული ნაშრომების ხელახალი გამოცემის, ან მათთვის ახალი ტომების დამატების სურვილს ა. უ. ზომერი ამ ნაშრომების მიმართ გამოჩენილი არასათანადო ინტერესით ხსნის. ნიცშეს სურდა, ახალი გამოცემებით თავისი ნაშრომების რეაქტუალიზება მოეხდინა და მკითხველთა ინტერესი აღეძრა.[1]

თუმცა, „ცისკრის ვარსკვლავის“ მეორე ტომზე მუშაობის პროცესმა მოულოდნელი შედეგი გამოიღო. 1886 წლის 27 მარტს ნიცშე ჰაინრიხ კიოზელიცს (= პეტერ გასტს) წერდა: „ეს ზამთარი იმისთვის გამოვიყენე, რომ რაღაც ისეთი დამეწერა, რაც სირთულეებითაა აღსავსე. ასე რომ, ბოლომდე არც კი გადამიწყვეტია, გამოვცე თუ არა. ნაშრომს ეწოდება: სიკეთისა და ბოროტების მიღმა. პრელუდია მომავლის ფილოსოფიისთვის.“[2] იმავე პერიოდში ნიცშე ეძებს ახალ გამომცემელს, რადგან იგი უკმაყოფილოა ძველი გამომცემლით – ერნსტ შმაიცნერით. „შენი, ისევე როგორც ჩემი ნაშრომები

1. იხ. Andreas Urs Sommer, *Kommentar zu Nietzsches ‘Jenseits von Gut und Böse’,* Berlin: Walter de Gruyter, 2016, გვ. 3.

2. *Nietzsche an Heinrich Köselitz, Nietzsche Source. Digitale Kritische Gesamtausgabe von Nietzsches Werken und Briefen (eKGWB).* http://www.nietzschesource.org/#eKGWB/BVN-1886,680 (ყველა ბმულზე წვდომა განხორციელდა: 05.05.2020).

სრულიად ჩამარხულ-ჩაკარგულია ამ ანტისემიტურ ბუნაგში“,[3] – წერდა ნიცშე თავის მეგობარს ფრანც ოფერბეკს 1885 წლის დეკემბრის დასაწყისში (შმაიცნერი ანტისემიტურ ლიტერატურას აქტიურად გამოსცემდა).

ახალი გამომცემლის ძიება წარუმატებელი აღმოჩნდა: ან მათ არ მოსწონდათ ნიცშეს პირობები, ან ნიცშე არ ეთანხმებოდა მათ მოთხოვნებს. საბოლოოდ, ნიცშემ გადაწყვიტა, „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“ საკუთარი სახსრებით გამოეცა. ისევე, როგორც „ზარატუსტრას“ უკანასკნელი, მეოთხე წიგნის შემთხვევაში, ნიცშე დაუკავშირდა გამომცემელ კონსტანტინ გეორგ ნაუმანს ლაიფციგში. ნაუმანსა და ნიცშეს შორის შეთანხმება შედგა და „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“ 1886 წლის ივლისის მიწურულს გამოქვეყნდა.

„სიკეთისა და ბოროტების მიღმა“ ნიცშემ თავისი გამოუქვეყნებელი მასალების გადამუშავების შედეგად დაწერა. საბოლოო სახე ნაშრომმა 1886 წლის პირველ ნახევარში მიიღო. ამასთან, ნიცშე ხშირად ცვლიდა ნაწარმოების სტრუქტურას. 1886 წლის მარტის ბოლოს ნაშრომი შედგებოდა წინასიტყვაობისა და სამი ნაწილისგან, ხოლო თავში და ბოლოში ლექსები იყო მოქცეული. თუმცა, აპრილის დასაწყისში ნიცშემ მკვეთრად შეცვალა ნაშრომის კონცეფცია, რომელიც უკვე ათი ნაწილისგან შედგებოდა. საბოლოო გეგმის თანახმად, ნაშრომი შედგებოდა ცხრა ნაწილისგან, რომლებსაც დასასრულს ლექსი („მწვერვალებიდან“) ერთვოდა.

ნიცშეს პოზიცია. „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“-ს მიმართ თავად ნიცშეს არაერთგვაროვანი შეფასებები ჰქონდა. ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ მან განიზრახა კიდევ ერთი ნაშრომის გამოცემა: ეს უნდა ყოფილიყო „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“-ს დამატება და განმარტება (აქაც იკვეთე-

3. Nietzsche an Franz Overbeck, *Nietzsche Source*. http://www.nietzschesource.org/#eKGWB/BVN-1885,649

ბა ნიცშეს ბოლო პერიოდისთვის დამახასიათებელი ტენდენცია, მუდმივად შეესწორებინა და შეევსო თავისი ნაშრომები, ერთ მთლიანობად შეეკრა ისინი). 1886 წლის მეორე ნახევრიდან 1887 წლის გაზაფხულამდე გაკეთებულ ჩანაწერებში ნიცშე აღნიშნავს, რომ „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“-ს საფუძვლად უდევს ის აზრები და იდეები, რომლებიც „ზარატუსტრას“ პერიოდს განეკუთვნება, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ აღნიშნული ნაშრომი არ გამოდგება, როგორც ზარატუსტრას სიტყვების კომენტარი. ნიცშე მას მოიაზრებს როგორც ერთგვარ გლოსარიუმს, – ძველი და გაუგებარი სიტყვების ამხსნელ ლექსიკონს, – რომელშიც „ზარატუსტრას“ უმნიშვნელოვანესი ცნებებია მოცემული და სახელდებული.[4] დაახლოებით იგივე აზრს ავითარებს ნიცშე იაკობ ბურკჰარდტისადმი 1886 წლის 22 სექტემბერს მიწერილ წერილში: „[*სიკეთისა და ბოორტების მიღმა*] იგივეს ამბობს, რასაც ჩემი *ზარატუსტრა*, მაგრამ განსხვავებულად, ძალიან განსხვავებულად.“[5]

ა. უ. ზომერი მიიჩნევს, რომ „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“-ს ნიცშესეული შეფასება უფრო მეტ შეკითხვებს აჩენს, ვიდრე პასუხობს. იგი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემობაზე, რომ თავის ჩანაწერებში ნიცშე აღნიშნულ ნაშრომს არა უბრალოდ „გლოსარიუმს“, არამედ „ერთგვარ დროებით გლოსარიუმს“ უწოდებს, რომელშიც „ზარატუსტრას“ საკვანძო ცნებები და ღირებულებები ახსნილი და განმარტებული კი არაა, არამედ უბრალოდ ჩამოთვლილია, დასახელებულია. გარდა ამისა, რაც უფრო მნიშვნელოვანია, „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“-ში არ გვხვდება „ზარატუსტრას“ საკვანძო ცნებების ექსპლიციტური, ანუ აშკარა განმარტებები. გარდა

4. იხ. A. U. Sommer, *Kommentar zu Nietzsches ‘Jenseits von Gut und Böse’,* გვ. 8-9.

5. Nietzsche an Jacob Burckhardt. *Nietzsche Source*. http://www.nietzschesource.org/#eKGWB/BVN-1886,754

ამისა, რითი შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ რაინჰარტ ფონ ზაიდლიცისადმი 1886 წლის 26 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“-ს შესახებ ნიცშე აცხადებს: „ეს ერთგვარი კომენტარია ჩემი *ზარატუსტრასადმი*“? გამოდის, რომ თავის ჩანაწერებში ნიცშე უარყოფს იმას, რასაც წერილში ამბობს?[6]

ზომერის თანახმად, ნიცშეს მიერ „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“-ს „ზარატუსტრას“ „გლოსარიუმად“ და „კომენტარად“ გამოცხადება, უპირველეს ყოვლისა, შემდეგ მიზანს ემსახურება: ნიცშეს სურდა, ეჩვენებინა უწყვეტობა თავის ნაწარმოებებს შორის, ერთმანეთთან დაეკავშირებინა ისინი და თავისი ქმნილებები წარმოეჩინა არა როგორც ერთმანეთისგან იზოლირებული ქმნილებები, არამედ როგორც ერთმანეთთან ორგანულ მთლიანობაში მყოფნი. გარდა ამისა, „ძალაუფლებისადმი ნების“ შესახებ დაგეგმილი ნაშრომის დაწერაზე უარის თქმასთან ერთად, „ზარატუსტრას“ ნიცშეს გვიანდელ პერიოდში უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. ის ხდება ამოსავალი წერტილი და საბოლოო „დანიშნულების პუნქტი“ ყველა დანარჩენი ნაშრომისთვის. ნიცშე ცდილობს, შემოგვთავაზოს ინტერპრეტაცია, რომლის თანახმად, „ზარატუსტრა“ უკვე შეიცავს ყველა იმ იდეას, რომლებსაც ადრეული ნაშრომები ჩანასახოვანი სახით შეიცავენ, ხოლო გვიანდელი შრომები განმარტავენ და აზუსტებენ. ნიცშეს მცდელობა, – უწყვეტ ჯაჭვად წარმოაჩინოს თავისი შრომები, – ვლინდება გამომცემელ ნაუმანისადმი 1887 წლის 17 ივლისს მიწერილ წერილში, რომელშიც ნიცშე „მორალის გენეალოგიის“ შესახებ ამბობს, რომ „ეს პოლემიკური ნაშრომი პირდაპირ კავშირშია გასულ წელს გამოქვეყნებულ *მიღმასთან*“.[7] ამით შეიძლება აი-

6. იხ. A. U. Sommer, *Kommentar zu Nietzsches ‘Jenseits von Gut und Böse’,* გვ. 9-10.

7. იქვე, გვ. 10.

ხსნას ის გარემოებაც, რომ 1886-1887 წლებში ნიცშემ ხელახლა გამოსცა „ადამიანური, ძალზე ადამიანური“, „ტრაგედიის დაბადება“ და „მხიარული მეცნიერება“ („ტრაგედიის დაბადებას“ და „ადამიანურს“ მან ახალი წინასიტყვაობები დაურთო, ხოლო „მხიარულ მეცნიერებას“ მეხუთე წიგნი დაუმატა). თვითინტერპრეტაციის ამ ახალ მცდელობებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ა. უ. ზომერი იმით ხსნის, რომ ნიცშე უკმაყოფილო იყო თანამემამულეების მხრიდან თავისი ნაშრომების მიმართ სათანადო ინტერესის არარსებობით. მკითხველთა წრეებში გამოხმაურების არქონა ნიცშეს მუდმივად უბიძგებდა, საკუთარი ნააზრევი ახლებური და განსხვავებული სახით წარმოეჩინა.[8]

Ecce homo-ში ნიცშე თავის ყველა ნაწარმოებს მიმოიხილავს. „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“-ს იგი ასე აფასებს: „[„ასე ამბობდა ზარატუსტრა“-ს] შემდეგ, რაც ჩემი ამოცანის დადებითი ნაწილი შესრულდა, დადგა უარყოფითი, არა-ს მთქმელი, არა-ს მოქმედი ნაწილის ჯერი: უწინდელი ღირებულებების გადაფასების, დიდი ბრძოლის, გადამწყვეტი შელოცვის დრო.“[9] იმავე ქვეთავის მეორე პარაგრაფში ნიცშე ცოდვით დაცემის ბიბლიური გადმოცემის ახლებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს: „თავად ღმერთი წამოწვა გველის სახით თავისი სამუშაო დღის ბოლოს ხე ცნობადის ძირში. ამგვარად ისვენებდა იგი ღმერთად ყოფნისგან... მან ყველაფერი ზედმეტად მშვენივრად შექმნა... ეშმაკი სხვა არაფერია, თუ არა ღმერთის უსაქმურობა ყოველ მეშვიდე დღეს...“[10] ზომერის

8. იქვე, გვ. 11-12.

9. იხ. ფ. ნიცშე, „Ecce homo, ანუ როგორ ხდება ადამიანი ის, რაც ის არის“. გერმანულიდან თარგმნა გ. თავაძემ. რედაქტორები: თ. ირემაძე, ლ. ზაქარაძე. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2011 წ., გვ. 99.

10. იქვე, გვ. 100 (თარგმანი შეცვლილია).

სიკეთისა და ბოროტების მიღმა
პრელუდია მომავლის ფილოსოფიისთვის

წინასიტყვაობა

დავუშვათ, რომ ჭეშმარიტება ქალია.[1] რა? განა საფუძვლიანი არ არის ეჭვი, რომ ყველა ფილოსოფოსს, რამდენადაც ისინი დოგმატიკოსები იყვნენ, ცუდად ესმოდათ ქალების? რომ შემაძრწუნებელი სერიოზულობა და მოუხერხებელი აბეზარობა, რომლითაც ისინი ჭეშმარიტებას უახლოვდებოდნენ, უადგილო და უკადრისი საშუალება იყო სწორედაც რომ დედაკაცის მოსახიბლად? დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს უკანასკნელი ცდუნებას არც დანებებია. ყველა სახის დოგმატიკა დღესდღეობით ნაღვლიანი და თავგზააბნეული გამომეტყველებით დგას. **თუკი** ის ჯერ კიდევ საერთოდ დგას! რადგან არსებობენ ცინიკოსები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ის დაემხო, რომ მთელი დოგმატიკა მიწაზეა გართხმული, უფრო მეტიც, რომ ის უკანასკნელი ამოსუნთქვის პირასაა. სერიოზულად თუ ვიტყვით, საკმაოდ მყარი საფუძველი გვაქვს იმედისთვის, რომ ყოველგვარი დოგმატიზება ფილოსოფიაში, როგორ საზეიმო იერსაც არ უნდა იღებდეს ის, რამდენადაც არ უნდა ცდილობდეს, თავი უკანასკნელ და გადამწყვეტ სიტყვად მოგვაჩვენოს, მხოლოდ კეთილშობილური ბავშვური თამაში და წამოწყება იყო. და შესაძლოა, შორს აღარ არის ის დრო, როდესაც კვლავ მიხვდებიან, საკუთრივ **რა** იყო უკვე საკმარისი იმისთვის, რომ ყოფილიყო ქვაკუთხედი ისეთი დიადი და უპირობო ფილოსოფიური ნაგებობებისთვის, რომლებსაც დღევანდელ დღემდე აღმართავდნენ დოგმატიკოსები: ეს შეიძლება ყოფილიყო რაიმე სახის ხალხური ცრურწმენა

უხსოვარი დროიდან (მაგალითად, სულის ცრურწმენა, რომელიც „სუბიექტისა“ და „მე“-ს ცრურწმენების სახით დღემდე უმსგავსობებს იწვევს), სიტყვათა რაიმე თამაში, რაიმე გრამატიკული ცდუნება, ან მეტისმეტად ვიწრო, მეტისმეტად პირადული, ადამიანური, ძალზე ადამიანური ფაქტების თამამი განზოგადება. იმედი ვიქონიოთ, რომ დოგმატიკოსთა ფილოსოფია იყო მხოლოდ დაპირება ათასწლეულების განმავლობაში, ისევე როგორც მასზე უფრო ადრე იყო ასტროლოგია, რომელზეც დღემდე, შესაძლოა, უფრო მეტი შრომა, სახსრები, მახვილგონიერება და მოთმინება დაიხარჯა, ვიდრე რომელიმე ნამდვილ მეცნიერებაზე. ასტროლოგიას და მის „ზემიწიერ“ პრეტენზიებს უნდა უმადლოდეს აზია და ეგვიპტე არქიტექტურის დიად სტილს. როგორც ჩანს, ყოველივე დიადი სამყაროში თავდაპირველად საშინელი, შიშის მომგვრელი კარიკატურის სახით უნდა გამოჩნდეს, რათა სამუდამოდ აღიბეჭდოს ადამიანთა გულებში. ასეთი კარიკატურა იყო დოგმატური ფილოსოფია, მაგალითად, ვედანტას[2] სწავლება აზიაში და პლატონიზმი ევროპაში. დაე, ნუ ვიქნებით უმადურნი მის მიმართ, თუმცკი იმავდროულად უნდა ვაღიაროთ, რომ ცდომილებათაგან ყველაზე უარესი, ყველაზე ხანგრძლივი და სახიფათო დოგმატიკოსთა ცდომილება იყო, კერძოდ, პლატონის გამონაგონი წმინდა სულისა და თავისთავადი სიკეთის შესახებ. მაგრამ ახლა, როდესაც ის გადალახულია, როდესაც ევროპა ამ სულის შემხუთველი საშინელებისგან გათავისუფლდა და მას, სულ მცირე, შეუძლია, უფრო ჯანმრთელი ძილით დატკბეს, ჩვენ, **ვისი ამოცანაც თავად სიფხიზლეა**, მთელი იმ ძალის შთამომავლები ვართ, რომელიც ამ ცდომილებასთან ბრძოლამ აღზარდა. საუბარი სულისა და სიკეთის შესახებ, როგორც ამას პლატონი აკეთებდა, – ეს უდავოდ ნიშნავს ჭეშმარიტების ამოყირავებას და თვით **პერსპექტიულობის**, ანუ ყოველგვარი სიცოცხლის ძირითადი პირობის უარყოფას. უფრო მეტიც, ექიმის მსგავსადაც კი შეგვიძლია ვიკითხოთ: „საიდან გაუჩნდა ძველი დროის ამ უმშვენიერეს ნაშიერს, პლატონს, ასეთი სენი?

ბოროტმა სოკრატემ ხომ არ წაახდინა იგი? მართლაც ხომ არ იყო სოკრატე ყმაწვილთა გამხრწნელი? და ხომ არ დაიმსახურა მან თავისი ციკუტა?“[3] – მაგრამ ბრძოლამ პლატონთან, ან უფრო გასაგებად და „ხალხისთვის“ თუ ვიტყვით, ბრძოლამ ათასწლეულების ქრისტიანულ-საეკლესიო უღელთან (რადგან ქრისტიანობა „ხალხისთვის“ პლატონიზმია), ევროპაში შვა სულის დიდებული დაძაბულობა, როგორიც მანამდე დედამიწაზე არ არსებულა. ასეთი ძლიერად დაჭიმული მშვილდით უშორესი მიზნებისთვის ტყორცნაა შესაძლებელი. რასაკვირველია, ევროპელი ამ დაძაბულობას განიცდის, როგორც მძიმე მდგომარეობას. უკვე ორჯერ მიმართეს ლარის მოშვების დიად მცდელობას: ერთხელ – იეზუიტიზმის, მეორედ – დემოკრატიული განმანათლებლობის მეშვეობით. ამ უკანასკნელს პრესისა და გაზეთების კითხვის გზით მართლაც შეუძლია იმის მიღწევა, რომ სული საკუთარ თავს აღარ აღიქვამს „საჭიროებად“! (გერმანელებმა დენთი გამოიგონეს. ყოჩაღ! თუმცა, მათ ეს გამოგონება გააბათილეს, რადგან პრესა გამოიგონეს). ჩვენ კი, ვინც არ ვართ არც იეზუიტები, არც დემოკრატები და თვით არც საკმარისად გერმანელები, ჩვენ, – **კარგი ევროპელები** და თავისუფალი, **უკიდურესად** თავისუფალი სულები, – ისევ შევიგრძნობთ გონების მთელ საჭიროებას და მისი მშვილდის მთელ დაჭიმულობას![4] და შესაძლოა ისრის, ამოცანის, ვინ უწყის, იქნებ მიზნის საჭიროებასაც კი ვგრძნობდეთ...

ზილს მარია, ზემო ენგადინი, 1885 წლის ივნისი

ნაწილი პირველი:
ფილოსოფოსთა ცრურწმენების შესახებ

1.

ნება ჭეშმარიტებისკენ, რომელმაც ჩვენ ჯერ კიდევ არაერთი გაბედული ნაბიჯის გადადგმისკენ უნდა გვაცდუნოს; ის სახელმოხვეჭილი უტყუარობა, რომლის შესახებ ყველა ფილოსოფოსი დღემდე ღვთისმოსავად საუბრობდა, – რა კითხვები არ წამოგვიყენა ასეთმა ნებამ ჭეშმარიტებისკენ! რა უცნაური, მზაკვრული და საეჭვო კითხვებია! ეს ისტორია უკვე დიდი ხანია, რაც გრძელდება. მაშინ რატომ გვგონია, რომ ის თითქოს ახლა იწყება? რა გასაკვირია, თუკი ჩვენ საბოლოოდ უნდობლები ვხვდებით, მოთმინებას ვკარგავთ და სწრაფად ვაქცევთ მას ზურგს? იქნებ **ჩვენ**, ჩვენი მხრივ, ამ სფინქსისგან ვსწავლობთ კითხვების დასმას? საკუთრივ **ვინ** არის ის, ვინც აქ კითხვებს სვამს? სინამდვილეში **რა** ისწრაფვის ჩვენში „ჭეშმარიტებისკენ“? – მართლაც, დიდი ხნით შევყოვნდით ამ ნების გამომწვევი მიზეზის შეკითხვაზე, ვიდრე სრულიად არ გავშეშდით მეორე, უფრო სიღრმისეული კითხვის წინაშე. ჩვენ დავსვით შეკითხვა ამ ნების **ღირებულების** შესახებ. დავუშვათ, რომ ჭეშმარიტება გვსურს. **მაგრამ იქნებ სიცრუეა უმჯობესი?** და გაურკვევლობა? სულაც არცოდნა? – ჭეშმარიტების ღირებულების პრობლემა თავად წარმოგვიდგა ჩვენ თუ ჩვენ მივედით ამ პრობლემასთან? რომელი ჩვენგანია აქ ოიდიპოსი? სფინქსი?[5] ეს ყველაფერი თითქოს კითხვებისა და კითხვის ნიშნების პაემანს ჰგავს. – დაიჯერებს კი ვინმე, რომ ჩვენ საბოლოოდ იმ აზრამდე მივალთ, თითქოს ეს პრობლემა არასოდეს ყოფილა წამოჭრილი, თითქოს პირველებმა ჩვენ აღ-

მოვაჩინეთ ის, მივაქციეთ მას ყურადღება და მასზე საუბარი **გავბედეთ?** რადგან ეს გულისხმობს რისკს და შესაძლოა, ამაზე უფრო დიდი რისკი არც არსებობდეს.

2.

„როგორ **შეიძლებოდა** რაიმე შექმნილიყო თავისივე საწინააღმდეგოდან? მაგალითად, ჭეშმარიტება ცდომილებიდან? ან ჭეშმარიტებისკენ ნება სიცრუისკენ ნებიდან? ან უანგარო საქციელი ანგარებიდან? ან ბრძენის წმინდა, მზისდარი ჭვრეტა სიხარბიდან? ასეთი რამ შეუძლებელია. ვინც ამის შესახებ ოცნებობს, ბრიყვია და ბრიყვზე უარესიც. უმაღლესი ღირებულების საგნებს სხვა, **საკუთარი** წარმომავლობა უნდა ჰქონდეთ. ამ წარმავალ, ცდუნებითა და სიცრუით განმსჭვალულ უბადრუკ სამყაროში, შეშლილობისა და დაუოკებელი სურვილების ამ გორგალში შეუძლებელია მათი წყაროს ძიება! პირიქით, ყოფიერების წიაღში, მარადიულში, დაფარულ ღვთაებაში, „ნივთში თავისთავად“ – **იქ** არის მათი მიზეზი, და სხვაგან არსად!“ – ასეთი მსჯელობა ტიპიურ ცრურწმენას წარმოადგენს და მისით შეიცნობა ყველა დროის მეტაფიზიკოსი. ამგვარი შეფასებები საფუძვლად უდევს ნებისმიერ მათ ლოგიკურ პროცედურას. ამ თავის „რწმენაზე“ დაყრდნობით ისინი მიისწრაფვიან თავისი „ცოდნის“, ანუ იმისკენ, რაც საბოლოოდ საზეიმოდ იკურთხება, როგორც „ჭეშმარიტება“. მეტაფიზიკოსთა საფუძველმდებარე რწმენა **ღირებულებათა ურთიერთდაპირისპირებულობის რწმენაა**. მათ შორის ყველაზე ფრთხილებსაც კი, უკვე აქ, ზღურბლზე მყოფებს, არ მოსვლიათ თავში, რომ დაეჭვებულიყვნენ იქ, სადაც ეს ყველაზე მეტად იყო საჭირო, მიუხედავად იმისა, რომ „de omnibus dubitandum“-ის[6] აღთქმა ჰქონდათ დადებული. დაეჭვება კი საჭირო იყო, პირველ რიგში, იმის გასარკვევად, არსე-

ბობს თუ არა დაპირისპირებები საერთოდ; მეორე მხრივ კი, იმის დასადგენად, ხომ არ წარმოადგენს ის შეფასებები და ურთიერთსაპირისპირო ღირებულებები, რომლებიც ხალხშია გავრცელებული (და რომლებსაც მეტაფიზიკოსებმა საკუთარი დაღი დაასვეს), მხოლოდ ზედაპირულ შეფასებებს, მხოლოდ დროებით პერსპექტივებს, თანაც, შესაძლოა, პერსპექტივებს კუთხიდან, იქნებ ქვემოდან ზემოთ, ერთგვარ „ბაყაყისებურ პერსპექტივებს“, თუკი ფერმწერების გამოთქმას დავესესხებით. მთელი იმ ღირებულების მიუხედავად, რომელიც შესაძლოა ჭეშმარიტს, მართალს და უანგაროს მიეწეროს, მაინც შესაძლებლად რჩება, რომ ილუზიას, სიცრუისკენ ნებას, ანგარებასა და დაუოკებელ სურვილებს მთელი ცხოვრებისთვის უფრო მაღალი და არსებითი ღირებულება მინიჭებოდა. ისიც კი შესაძლებელია, რომ ამ რიგიანი და პატივცემული საგნების ღირებულება სწორედ **ისაა**, რომ ისინი ამ უვარგის, თითქოსდა დაპირისპირებულ საგნებთან მზაკვრულად არიან დაკავშირებულნი, გადაჯაჭვულნი, მიმაგრებულნი. შესაძლოა, ისინი არსობრივად მათი მსგავსნიც კი არიან. შესაძლოა! — მაგრამ ვის სურს საკუთარი თავის შეწუხება ასეთი სახიფათო „შესაძლოა“-თი! ამისთვის ფილოსოფოსთა ახალი მოდგმის, — სახიფათო „შესაძლოა“-ს ფილოსოფოსების ამ სიტყვის ყოველგვარი მნიშვნელობით, — გამოჩენას უნდა ველოდოთ, ისეთების, რომლებსაც რაიმე განსხვავებული, საპირისპირო გემოვნება და მიდრეკილებები ექნებოდათ, ვიდრე უწინდელებს. — და სრული სერიოზულობით ვაცხადებ, რომ მე ვხედავ ასეთ ახალ ფილოსოფოსთა გამოჩენას.

3.

ფილოსოფოსებზე ხანგრძლივი დაკვირვებისა და მათ ნაშრომთა სტრიქონებს შორის წაკითხვის შემდეგ მე ვეუბნები საკუთარ თავს, რომ ცნობიერი აზროვნების დიდი ნაწილი ჯერ

კიდევ ინსტინქტის ფუნქციონირებას უნდა მივაწეროთ (ფილოსოფიური აზროვნების შემთხვევაშიც კი). აქ თავიდან უნდა ვისწავლოთ ისევე, როგორც უკვე მოვიქეცით მემკვიდრეობითობისა და „თანშობილობის“ შემთხვევაში.[7] რამდენადაც ნაკლებად ითვალისწინებენ დაბადების აქტს მემკვიდრეობითობის წინამორბედ და მომდევნო პროცესში, იმდენადვე ნაკლებად **უპირისპირდება** „ცნობიერება“ რაიმე გადამწყვეტი აზრით ინსტინქტურს. ფილოსოფოსის ცნობიერ აზროვნებას, ძირითადად, ფარულად წარმართავენ მისი ინსტინქტები, რომლებიც ამ აზროვნებას განსაზღვრულ მიმართულებას ანიჭებენ. თვით მთელი ლოგიკისა და მისი თითქოსდა მბრძანებლური მოძრაობის საფუძველში გვხვდება შეფასებები, უფრო ზუსტად კი, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები, რომლებიც სიცოცხლის კონკრეტული სახეობის შენარჩუნებისკენაა მიმართული. მაგალითად, ის, რომ განსაზღვრულს უფრო მაღალი ღირებულება აქვს, ვიდრე განუსაზღვრელს; მოჩვენებითს უფრო ნაკლები ღირებულება გააჩნია, ვიდრე „ჭეშმარიტებას“. მსგავსი შეფასებები, **ჩვენთვის**, მთელი მათი წარმმართველი მნიშვნელობის მიუხედავად, შესაძლოა იყოს მხოლოდ ზედაპირული შეფასებები, ერთგვარი niaiserie,[8] რომლებიც სწორედ ისეთ ქმნილებათა არსებობის შენარჩუნებისთვისაა საჭირო, როგორებიც ჩვენ ვართ. აქ იგულისხმება, რომ სწორედ ადამიანი არ არის „საგანთა საზომი“...[9]

4.

მსჯელობის მცდარობა ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ჩვენთვის არგუმენტს მსჯელობის წინააღმდეგ. შესაძლოა, ჩვენი ახალი ენა აქ ყველაზე უცნაურად ჟღერდეს. მთავარია, თუ რამდენად უწყობს ხელს მსჯელობა ცხოვრებას და იცავს

მას, რამდენად იცავს სახეობას და შესაძლოა სახეობის აღზრდასაც კი. ჩვენ მზად ვართ, გაბედულად ვამტკიცოთ, რომ ყველაზე ყალბი მსჯელობები (რომლებსაც სინთეზურ-აპრიორული დებულებები მიეკუთვნება) ჩვენთვის ყველაზე მეტად აუცილებელი მსჯელობებია; რომ ლოგიკური ფიქციების დაშვების, უპირობო და თვითიგივეობრივ, წმინდად გამოგონილ სამყაროსთან სინამდვილის შედარების, რიცხვების მეშვეობით სამყაროს გამუდმებული ფალსიფიცირების გარეშე ადამიანი ცხოვრებას ვერ შეძლებდა. ცრუ დებულებების უარყოფა სიცოცხლეზე უარის თქმა, სიცოცხლის უარყოფა იქნებოდა. სირცუის აღიარება სიცოცხლის წინაპირობად, რასაკვირველია, სახიფათო გზაა საგანთა ღირებულების ჩვეულ გრძნობასთან დაპირისპირებისთვის. ფილოსოფია, რომელსაც ამის სითამამე ჰყოფნის, უკვე ამით საკუთარ თავს სიკეთისა და ბოროტების მიღმა ათავსებს.

5.

ის, რაც გვიბიძგებს, რომ ყველა ფილოსოფოსს ნაწილობრივ უნდობლად, ნაწილობრივ კი დამცინავად ვუმზიროთ, იმით კი არ არის გამოწვეული, რომ ჩვენ გამუდმებით გვიწევს იმაში დარწმუნება, თუ რამდენად უცოდველნი არიან ისინი, რამდენად ხშირად და რა სიმსუბუქით ცდებიან და იბნევიან ისინი, ერთი სიტყვით, არა მათი ბავშვურობა და ბავშვური მიამიტობა, არამედ ის გარემოება, რომ ისინი არ არიან საკმარისად პატიოსნები. როდესაც ისინი ერთსულოვნად იწყებენ დიდ და ღირსებით სავსე ხმაურს, მყისვე ჭეშმარიტების პრობლემას ეხებიან, თუნდაც მხოლოდ შორიდან. ისინი ერთხმად თავს აჩვენებენ ისეთ ადამიანებად, რომლებმაც საკუთარი შეხედულებები თითქოს ცივი, წმინდა, ღვთაებრივად უზრუნ-

ველი დიალექტიკის თვითგანვითარების გზით აღმოაჩინეს (ყველა ხარისხის მისტიკოსისგან განსხვავებით, რომლებიც მათზე პატიოსნები და მოუქნელები არიან. ეს უკანასკნელნი „შთაგონების“ შესახებ საუბრობენ). სინამდვილეში ისინი რეტროსპექტულად გამოძებნილი საფუძვლებით იცავენ რომელიმე წინასწარ ჩამოყალიბებულ დებულებას, უეცარ აზრს, „ჩაგონებას“, დიდწილად კი ეს არის აბსტრაჰირებული და გაწმენდილი გულწრფელი სურვილი. – ყველა ისინი ადვოკატები არიან, რომლებსაც არ სურთ, რომ ასე იწოდებოდნენ, უმეტესწილად კი – თავიანთი ცრურწმენების (რომლებსაც ისინი „ჭეშმარიტებებს“ უწოდებენ) გაქნილი ვექილები. – ისინი **ძალიან** შორს არიან სინდისის სიმამაცისგან, რომელიც საკუთარ თავთან სწორედ ამას აღიარებს. ისინი ძალიან შორს არიან სიმამაცის სათანადო გემოვნებისგან, რომელიც ამ გარემოებას სხვებსაც აგებინებს: იმისთვის, რომ მეგობარი ან არაკეთილმოსურნე გააფრთხილოს, ან კიდევ ქედმაღლობიდან გამომდინარე და საკუთარი თავის გაქილიკებისთვის. მოხუცი კანტის ტარტიუფობა,[10] იმდენადვე ხისტი, რამდენადაც ზნეკეთილი, რომლითაც ის იმ იდუმალ დიალექტიკურ ბილიკებზე გვიტყუებს, მისი „კატეგორიული იმპერატივისკენ“ რომ გვიტყუებენ (უფრო სწორად, გვაცდუნებენ) – ეს სანახაობა, ჩვენში, განებივრებულ ადამიანებში, ღიმილს იწვევს, რადგან ჩვენ მცირედ სიამოვნებასაც კი ვერ ვიღებთ მოხუცი მორალისტებისა და ზნეობის მქადაგებლების ნატიფ ხრიკებზე დაკვირვებიდან. ან კიდევ, ეს ფოკუსი მათემატიკური ფორმით, რომლითაც სპინოზამ შეჯავშნა და შენიღბა საკუთარი ფილოსოფია, საბოლოო ჯამში, „**საკუთარი** სიბრძნის სიყვარული“ (თუკი ამ სიტყვას სწორად და ზუსტად განვმარტავთ), რათა იმთავითვე შეერყია თავდამსხმელის სიმამაცე, რომელიც გაბედავდა, მზერა ეტყორცნა ამ დაუმარცხებელი ქალწულისა და ათენა პალასისთვის.[11] რამდენად დიდ პიროვნულ გაუბედაობას და მოწყვლადობას ამჟღავნებს სნეული განდეგილის ეს მასკარადი!

6.

თანდათან ჩემთვის ნათელი გახდა, რას წარმოადგენდა დღემდე ყოველი დიადი ფილოსოფია: კერძოდ, მისი შემოქმედის თვითაღსარებას, ერთგვარ თავისდაუნებურ და შეუმჩნეველ mémoires-ს.[12] ასევე, ნათელი გახდა, რომ მორალური (ან ამორალური) მიზნები ნებისმიერი ფილოსოფიის ცხოვრებისეულ მარცვალს წარმოადგენს, საიდანაც ყოველ ჯერზე მთელი მცენარე იზრდება. მართლაც, მართებული და ჭკვიანური იქნება, თუკი იმის გასარკვევად, საკუთრივ როგორ შეიქმნა მოცემული ფილოსოფოსის ყველაზე უფრო არაამქვეყნიური მეტაფიზიკური შეხედულებები, თავდაპირველად ყოველთვის დავსვამთ კითხვას: რა მორალი იგულისხმება აქ? რომელ მორალს ესწრაფვის ეს ფილოსოფოსი? შესაბამისად, მე არ ვფიქრობ, რომ „შემეცნებისკენ სწრაფვაა“ ფილოსოფიის მამა, არამედ მიმაჩნია, რომ აქ, ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, რომელიმე სხვა ინსტინქტი შემეცნებას (და მცდარ შემეცნებას!) მხოლოდ ხელსაწყოს სახით იყენებს. ხოლო ის, ვინც ადამიანის ძირითად ინსტინქტებს დააკვირდება იმ მიზნით, რომ გამოიკვლიოს, რამდენად შორს შეუძლიათ მათ საკუთარი გავლენის გავრცელება, მოცემულ შემთხვევაში, **შთამაგონებელი** სულების (ან დემონებისა და კობოლდების)[13] სახით, ის დაინახავს, რომ ოდესღაც ყველა მათგანი ფილოსოფიას წარმართავდა და რომ ყოველ მათგანს დიდი სურვილი აქვს, არსებობის სასრულ მიზანს და ყველა დანარჩენი ინსტინქტის უფლებამოსილ **ბატონს წარმოადგენდეს**. ეს იმიტომ, რომ ყოველი ინსტინქტი ძალაუფლების მოყვარეა და **როგორც ასეთი**, ფილოსოფოსობას ცდილობს. – რასაკვირველია, სწავლულებს, ანუ ნამდვილად მეცნიერულ ადამიანებს შორის, საქმე, შესაძლოა, სხვაგვარად იყოს. თუ გნებავთ, „უკეთესადაც“. იქ, შესაძლოა, მართლაც არსებობდეს რაღაც, შემეცნებისკენ სწრაფვის მსგავსი, საათის მექანიზმის რომელიმე მცირე და დამოუკიდებელი რგოლი, რომელიც, სათანადოდ მომართვის შემდეგ, მხნედ

მუშაობს სწავლულის ყველა დანარჩენი ინსტინქტის არსებითი თანამონაწილეობის **გარეშე**. ამ მიზეზით სწავლულის ნამდვილი „ინტერესები“, როგორც წესი, რაიმე სრულიად განსხვავებულზე ფოკუსირდება, მაგალითად, ოჯახზე, ანაზღაურებაზე, ან პოლიტიკაზე. თითქმის სულ ერთია, მეცნიერების რომელ სფეროსაა მისადაგებული მისი პატარა მანქანა და „იმედისმომცემი“ ახალგაზრდა მუშაკი კარგ ფილოლოგს, სოკოთა მცოდნეს, თუ ქიმიკოსს წარმოადგენს. ამა თუ იმ სფეროსადმი მიკუთვნებულობა მის მახასიათებლებს **არ განსაზღვრავს**. ამისგან განსხვავებით, ფილოსოფოსში სრულიად არაფერია უპიროვნო. განსაკუთრებით კი მისი მორალი მოწმობს ცხადად და ურყევად, **ვინ არის იგი**, ანუ როგორ იერარქიულ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან მისი ბუნების უშინაგანესი ინსტინქტები.

7.

რაოდენ ღვარძლიანები შეიძლება იყვნენ ფილოსოფოსები! არაფერი ვიცი იმ ხუმრობაზე მეტად შხამიანი, რომლის ნებაც ეპიკურემ მისცა საკუთარ თავს პლატონისა და პლატონიკოსების წინააღმდეგ: მან მათ **Dionysiokolakes** უწოდა. აზრობრივად ეს სიტყვა, უპირველეს ყოვლისა, „დიონისეს მლიქვნელებს“ ნიშნავს, შესაბამისად, ტირანის შინაყმასა და მისი ფურთხის მლოკავს. მაგრამ ეს სიტყვა კიდევ იმას გვეუბნება, რომ „ესენი ყველანი მსახიობები არიან, მათში არაფერია ნამდვილი“ (სიტყვა **Dionysiokolax** მსახიობის გავრცელებული მეტსახელი იყო).[14] ეს უკანასკნელი მნიშვნელობა კი არის ის ნამდვილი ღვარძლიანი ისარი, რომელიც ეპიკურემ პლატონს სტყორცნა. მას აღიზიანებდა მაღალფარდოვანი მანერები და მსახიობობა, რომლის ოსტატები იყვნენ პლატონი და მისი მოწაფეები და რაც არ გამოსდიოდა ეპიკურეს, ამ მოხუც მას-